შესაძლო რუსული ემბარგოს გავლენა საქართველოს ექსპორტზე

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #54 / 26.08.2015

2014 წელს ქართული ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განხვავდება 2005 წლის (რუსული ემბარგოს დაწესებამდე) სტრუქტურისაგან. 2005 წელს რუსეთი საქართველოსთვის უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი იყო და მასზე მთლიანი ექსპორტის 17.8 % მოდიოდა. 2014 წელს კი საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი აზერბაიჯანია (მთლიანი ექსპორტი 19 %), შემდეგ მოდის სომხეთი (10 %) და მხოლოდ მესამე ადგილზეა რუსეთი 9.6 %-ანი წილით (274.7 მლნ. აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ქართული საექსპორტო ბაზარი მოიცავდა 93 ქვეყანას, 2014 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 120-მდე გაიზარდა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-დან 2014 წლამდე) ქართული ექსპორტი (რუსეთის ბაზრის გარდა) საშუალოდ ყოველწლიურად 18.8 %-ით იზრდებოდა და ჯამში გაზრდილია 1 874.5 მლნ. აშშ დოლარით.

2005 წლის შემდეგ, ქართულმა ექსპორტმა განიცადა სტრუქტურული ცვლილება, შემცირდა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება და მოხდა ექსპორტის დივერსიფიცირება, რაც ამცირებს შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორების (ემბარგო) გავლენას ქართულ ექსპორტზე.





წყარო: comtrade.un.org

წყარო: comtrade.un.org

2014 წელს საქართველოდან ღვინის ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება 2005 წლის (რუსული ემბარგოს დაწესებამდე) სტრუქტურისაგან. მნიშვნელოვნად არის შემცირებული (15 პროცენტული პუნქტით) რუსეთის ბაზრის წილი ქართული ღვინის ექსპორტში. 2005 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 77 % იყო, მაშინ როცა 2014 წელს მხოლოდ 62 %-ია.

ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასთან ერთად, ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-დან 2014 წლამდე), ქართული ღვინის ექსპორტი (რუსეთის ბაზრის გარდა) საშუალოდ ყოველწიურად 19.7 %-ით იზრდებოდა და ჯამში 50.9 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი.





წყარო: comtrade.un.org

წყარო: comtrade.un.org

2014 წელს საქართველოდან სპირტიანი სასმელების ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება 2005 წლის (რუსული ემბარგოს დაწესებამდე) სტრუქტურისაგან. მნიშვნელოვნად არის შემცირებული (46 პროცენტული პუნქტით) რუსეთის ბაზრის წილი ქართული სპირტიანი სასმელების ექსპორტში. 2005 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 64 % იყო, მაშინ როცა 2014 წელს მხოლოდ 18 %-ია.

სპირტიანი სასმელების საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასთან ერთად, ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-დან 2014 წლამდე) ქართული სპირტიანი სასმელების ექსპორტი (რუსეთის ბაზრის გარდა) საშუალოდ ყოველწლიურად 42.9 %-ით იზრდებოდა და ჯამში 67.2 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი.



წყარო: comtrade.un.org



წყარო: comtrade.un.org

2014 წელს საქართველოდან მინერალური და მტკნარი წყლები ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება 2005 წლის (რუსული ემბარგოს დაწესებამდე) სტრუქტურისაგან. მნიშვნელოვნად არის შემცირებული (25 პროცენტული პუნქტით) რუსეთის ბაზრის წილი ქართული მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტში. 2005 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 73 % იყო, მაშინ როცა 2014 წელს მხოლოდ 48 %-ია.

მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასთან ერთად, ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-დან 2014 წლამდე) ქართული მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი (რუსეთის ბაზრის გარდა) საშუალოდ ყოველწლიურად 32.2 %-ით იზრდებოდა და ჯამში 61.9 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი.



წყარო: comtrade.un.org



წყარო: comtrade.un.org

2014 წელს საქართველოდან ექსპორტის (ღვინის, სპირტიანი სასმელების, მინერალური და მტკნარი წყლების გარდა) სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება 2005 წლის (რუსული ემბარგოს დაწესებამდე) სტრუქტურისაგან. შემცირებულია (4 პროცენტული პუნქტით) რუსეთის ბაზრის წილი აღნიშნული პროდუქტების ექსპორტში. 2005 წელს ეს მაჩვენებელი 7 % იყო, მაშინ როცა 2014 წელს მხოლოდ 3 %-ია.

საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასთან ერთად, ბოლო ათი წლის განმავლობაში (2005-დან 2014 წლამდე) აღნიშნული პროდუქტების ექსპორტი (რუსეთის ბაზრის გარდა) საშუალოდ ყოველწლიურად 18.3 %-ით იზრდებოდა და ჯამში 1 694.4 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	3298.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	884.5
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	3.2%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	309.5	196.2	726.0	526.7	1 758.4	175.3
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
comtrade.un.org

საპროგნოზო*